ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული
დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის

სხდომის ოქმი N7

ქ. ლანჩხუთი 20.06.2022 წ

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე; გიორგი იმნაიშვილი, ემზარ თევდორაძე, ლოლიტა ურუშაძე, სპარტაკ კვაჭაძე, ჯუმბერ ბლაგიძე, გიორგი გოგუაძე.

სხდომას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გივი ცინცაძე, კახა თედორაძე, ელისო ჭიჭინაძე, ზაზა წულაძე.

მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი **ალეკო კირვალიძე,** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი **შოთა ჩაგანავა.**

სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი **ნინო ებრალიძე** საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში **ლაშა სარჯველაძე.**
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ სუფსის მოსახლეობის წარმომადგენლები.

კომისიის თავმჯდომარემ გიორგი იმნაიშვილმა სოლიდარობა გამოუცხადა უკრაინელ ხალხს და სხდომის მონაწილეებმა ფეხზე ადგომით წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს უკრაინაში დაღუპულ გმირებს.

კომისიის თავმჯდომარემ გიორგი იმნაიშვილმა სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2022 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი იმნაიშვილი/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი იმნაიშვილი/

3. სხვადასხვა.

დღის წესრიგის პროექტის მიმართ კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა

კომისიის თავმჯდომარემ, გიორგი იმნაიშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:
მომხრე 6 ; წინააღმდეგი არცერთი .

დღის წესრიგის პირველი საკითხი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2022 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი. კომისიას გააცნო მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა ალეკო კირვალიძემ მან აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის N23 დადგენილების შესაბამისად,
მუხლი 1. მოწონებულ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2022 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტები დანართის შესაბამისად.

2022 წელს რეგიონული განვითარების ფონდით განსახორციელებელი პროექტების ნუსხა.
დასახელება; სავარაუდო ღირებულება.

1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის აკეთის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა სასოფლო გზების ასფალტობეტონის საფარით მოწყობა- სოფ. შუხუთიდან სოფ. გაგურის ცენტრამდე; **4916742**
2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის აკეთის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა სასოფლო გზების ასფალტობეტონის საფარით მოწყობა- სოფ. გაგურის ცენტრიდან სოფ. ნაგომარის ხიდემდე; **2430645**
3. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის აკეთის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა სასოფლო გზების ასფალტობეტონის საფარით მოწყობა- სოფ. გაგურის ცენტრიდან სოფ. ზომლეთის საზღვრამდე; **1998899**

ჯამი: 9346286

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2022 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.
სხდომის თავმჯდომარემ გიორგი იმნაიშვილმა კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე-5; წინააღმდეგი 1-კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა(ჯუმბერ ბლაგიძე).

დღის წესრიგის მეორე საკითხი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი კომისიას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა შოთა ჩაგანავამ მან აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ.ბ." ქვეპუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

დამტკიცდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის დებულება დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

ამ დადგენილების ამოქმედების დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურისა სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის №40 დადგენილება (სსმ; ვებგვერდი, 27/12/2017; სარეგისტრაციო კოდი: 010260020.35.112.016322).

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

სხდომის თავმჯდომარემ გიორგი იმნაიშვილმა კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე-5 ; წინააღმდეგი-1 კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა (ჯუმბერ ბლაგიძე).

სხვადასხვა.

დეპუტატმა ჯუმბერ ბლაგიძემ აღნიშნა, რომ ავტობანის მშენებლობისას ძლიერ დაზიანდა გზა, რომელსაც ამჟამად ავტობანის მშენებლები აღარ იყენებდნენ. გზის მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობა, რომლის ნაწილიც ესწრება კომისიის სხდომას მოითხოვენ გზის ასფალტირებას და სანიაღვრე არხების მოწყობას.

კომისიის თავმჯდომარემ გიორგი იმნაიშვილმა უპასუხა, უახლოეს ორ დღეში ადგილზე მოვალთ, ჩვენთან ერთად იქნებიან საპროექტო ჯგუფის წარმომადგენლები და ამის შემდეგ გვექნება ზუსტი სურათი არსებული მდგომარეობის შესახებ და დავსახავთ შესაბამის ზომებს.

დეპუტატმა გიორგი გოგუაძემ აღნიშნა, რომ თავისუფლების ქუჩაზე ,,გურულების დუქანთან" სტიქიის შედეგად წაიქცა ნაძვი, რომელმაც სერიოზული ზარალი მიაყენა ობიექტის მეპატრონეს

და არანაკლებ პრობლემები შეუქმნა მუნიციპალიტეტს და მოსახლეობას. შეგახსენებთ, რომ ასეთი ნაძვების რაოდენობა ამ ქუჩაზე საკმაოდ დიდია. მაინტერესებს რა პოლიტიკა აქვს მუნიციპალიტეტს ამ საკითხთან დაკავშირებით, რადგან ასეთი ავარიული ნაძვები ქალაქში სხვაგანაც არის და რა რაოდენობით აუნაზღაურდა ზარალი კერძო მესაკუთრეს. მიმდინარეობს ქალაქის ცენტრალური სკვერის კეთილმოწყობის სამუშაოები რისთვისაც მშენებელ ორგანიზაციას შემოტანილი აქვს ფილები პადონებით. სასულიერო გიმნაზია ითხოვს ამ პადონების გადაცემას რათა მოაწყონ სასულიერო გიმნაზიის ეზოში სკამები. კარგი იქნება მერიამ თხოვოს მშენებელ ორგანიზაციას გადაცეს ეს პადონები სასულიერო გიმნაზიას, რომელთაც ეს საქმიანობა ქველმოქმედებაში ჩაეთვლებათ.

ამით კომისიამ მუშაობა დაასრულა.

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული
დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის
კომისიის თავმჯდომარე: /გიორგი იმნაიშვილი/

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია

2800 ლანჩხუთი, კოსტავას 37 0 494 22 30 19

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის

სხდომის დასკვნა N7

ქ. ლანჩხუთი

20.06.2022 წ.
12.00 საათი

2022 წლის 20 ივნისს მოწვეული იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები:

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

1. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2022 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

2. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

დღის წესრიგის პირველი საკითხი 1. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2022 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი შენიშვნების გარეშე გადაეცეს საკრებულოს სხდომას განსახილველად.

დღის წესრიგის მეორე საკითხი 2. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ”

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი შენიშვნების გარეშე გადაეცეს საკრებულოს სხდომას განსახილველად.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და
ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე: გიორგი იმნაიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის
კომისიის სარეგისტრაციო ფურცელი

20.06.2022 წელი
12:00 საათზე

	სახელი, გვარი	დაწყების დრო	ხელმოწერა
1.	სხდომის თავმჯდომარე გიორგი იმნაიშვილი	11-50	
2.	ემზარ თევდორაძე	12⁰⁰	
3.	სპარტაკ კვაჭაძე	11-54	
4.	ელისო ჭიჭინაძე	—	არ ესწრებოდა
5.	კახა თედორაძე	—	არ ესწრებოდა
6.	ლოლიტა ურუშაძე	11:55	
7.	ზაზა წულაძე	—	არ ესწრებოდა
8.	გიორგი გოგუაძე	11:55	
9.	გივი ცინცაძე	—	არ ესწრებოდა
10.	ჯუმბერ ბლაგიძე	11:50	